საკონკურსო პირობები:

1. პროფესორის თანამდებობაზე 5 წლის ვადით შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო- პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება .

2. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 წლის ვადით.

4. საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება: კონკურსანტის კვალიფიკაციის და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი პედაგოგიური, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები და დამსახურება; ასევე საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული გასაუბრება-ინტერვიუს და (კომისიის გადაწყვეტილებით ან კონკურსანტის მოთხოვნით) საჯარო ლექციის შედეგები.

პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით პირობებს:

ა) აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის (ან დოქტორანტის)მიმართულება უნდა ემთხვეოდეს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის მიმართულებას;

ბ) გამოქვეყნებული შრომები, სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომები უნდა ემთხვეოდეს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის მიმართულებას;

გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში წაკითხული დისციპლინები უნდა ემთხვეოდეს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის მიმართულებას;

დ) არანაკლებ 6-წლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილებიდან კონკურსანტს უნდა გააჩნდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ბოლო 5 წლის გამოცდილება.

კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა

აკადემიურ თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში დაიშვება მხოლოდ ის კონკურსანტი, ვისაც შეუძლია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაუთმოს სამუშაო კვირის მინიმუმ სამი დღე და აკადემიური თანამდებობის დაკავების შემთხვევაში უნივერსიტეტთან გააფორმებს აფილირების ხელშეკრულებას.